სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/231

ქ. თბილისი 29 დეკემბერი 2022 წ.

„საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვების გაანგარიშებისა და განაწილების წესის“ დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „პროფესიული განათლების სფეროში კრედიტების სისტემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის №120 ბრძანების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ცენტრის უფროსის 2022 წლის 28 დეკემბრის სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 29 დეკემბრის №01-05-02/38 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. დამტკიცდეს „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვების გაანგარიშებისა და განაწილების წესი“ (დანართი).
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანა
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვების გაანგარიშებისა და განაწილების წესი

1. ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) პროფესიული განათლების მასწავლებლის სასწავლო დატვირთვის გაანგარიშებისა და განაწილების წესს.

2. სამუშაო დრო წარმოადგენს დროის მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია განახორციელოს თავისი სამსახურებრივი ფუნქცია-მოვალეობანი;

3. უნივერსიტეტში დასაქმებულთათვის სამუშაო დროის (სამუშაო კვირა, სამუშაო დღე) ხანგრძლივობა განისაზღვრება უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესაბამისად.

4. უნივერსიტეტში პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო დაკავშირებულია სასწავლო პროცესთან და განისაზღვრება სასწავლო გეგმის და ცხრილის შესაბამისად.

5. პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო საათები არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს.

6. პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურება განისაზღვრება სასწავლო დატვირთვის შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

7. პროფესიული განათლების მასწავლებლის უფლებები და ვალდებულებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის შინაგანაწესით, „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიული მასწავლებლის სამსახურში აყვანის წესით", აღნიშნულ პირთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმებით.

8. კალენდარული წლის მანძილზე პროფესიული განათლების მასწავლებლის სრული სასწავლო დატვირთვა შეადგენს 1500-1800 საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათს. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში მონაწილე აკადემიური პერსონალის სასწავლო დატვირთვა განისაზღვრება აკადემიური დატვირთვის ზღვრული ოდენობისა და საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი ნორმირებული სამუშაო დროის ხანგრძლივობის გათვალისწინებით.

9. პროფესიული განათლების მასწავლებელთან ხელშეკრულების გაფორმება უნდა დასრულდეს სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე.